**ტენდერი დეზობარიერის და მისთვის განკუთვნილი სადეზინფექციო სხნარის შესყიდვაზე**

შპს „2 ნაბიჯი" აცხადებს ტენდერს დეზობარიერის და მისთვის განკუთვნილი სადეზინფექციო სხნარის შესყიდვაზე.

**პროდუქტის აღწერილობა:**

**1. დეზობარიერი - 550 ცალი**

- სრული ზომა 70X45 სმ;
- რეზინის კარკასითა და ხალიჩით;
- გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეებში (ობიექტის შესასვლელთან).

**2. სადეზინფექციო სითხე დეზობარიერებისთვის - 1250 ცალი**

- 1 ცალი უნდა იყოს 0.5 ლიტრიან შეფუთვაში
- გამოყენებამდე საჭირო უნდა იყოს მისი გაზავება წყალში.
- გაზავების ინსტრუქცია უნდა იკითხებოდეს შეფუთვაზე.
- შეფუთვაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც მოწოდების დროს უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი.

**ტენდერის პირობები/მოთხოვნები:**

- პრეტენდენტმა კომერციული წინადადება უნდა წარმოადგინოს ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, დანართი N1-ის შესაბამისად;
- პრეტენდენტმა შესასყიდი საქონლის დეტალური ტექნიკური მონაცემები, ინფორმაცია მწარმოებელი ქვეყანის, მწარმოებელი კომპანიის, მოდელის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ უნდა წარმოადგინოს დანართი N1-ის შესაბამისად;
- ინფორმაცია პროდუქციის მიწოდების ვადების შესახებ (დანართი N1);
- ინფორმაცია საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ (დანართი N1);
- გადახდის პირობა (დანართი N1);
- პრეტენდენტი ვალდებულია ტენდერის დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის ნიმუში. მისამართი: ისანი, ნავთლუღის ქუჩა 39-41, საქართველო, თბილისი, 0113, სამუშაო საათები 09:00-18:00.

**შენიშვნა: უპირატესობა მიენიჭება იმ კომპანიის შემოთავაზებას, რომელის ანგარიშწორების პირობა იქნება 45 (ორმოცდახუთი) დღიანი კონსიგნაცია.*

**აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმეტები:**

- დანართი N1, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც ხელმოწერილი, ისე Excel-ის ფორმატით;
- საჯარო რეესტრიდან განახლებული სამეწარმეო ამონაწერი;
- ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია (საქმიანობის მოკლე აღწერილობა , გამოცდილება, კლიენტების სია, შესრულებული პროექტები, რეკომენდაციები, და ა.შ.);

**შენიშვნები:**

*შპს „ორი ნაბიჯი“ იტოვებს უფლებას არ შეისყიდოს სრულად ტენდერში წარმოდგენილი რაოდენობები.*

*შპს ,,ორი ნაბიჯი“ იტოვებს უფლებას მიიღოს სატენდერო წინადადება სრულად ან ნაწილობრივ;*

*შპს ,,ორი ნაბიჯი“ გამოავლენს გამარჯვებულს ყველა პირობის ერთობლიობის გათვალისწინებით;*

*თუ პრედენდენტს არ შეუძლია გარკვეული საქონლის მოწოდება შეუძლია გამოტოვოს გრაფა.*

**ტენდერის ჩაბარების პირობები:**

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა, შესაბამისი შემოთავაზება, ტენდერში მონაწილეობის მიღებისათვის საჭირო დოკუმენტები და საკონტაქტო ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ მეილზე tenders@orinabiji.ge 2025 წლის, 28 იანვრის 18:00 საათის ჩათვლით.

**ტენდერის საკითხებთან დაკავშირებით, გთხოვთ წერილობით მიმართოთ:**
ანი შენგელია / ია ჟიჟიაშვილი
საკონტაქტო ნომერი: 571 00 03 06 / 598 37 34 31
ელ.ფოსტა: ani.shengelia@orinabiji.ge / ia.zhizhiashvili@orinabiji.ge